დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა

შეფასების თარიღ(ებ)ი 2022 წლის 29, 30 ნოემბერი, 01 დეკემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი 28.12.2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242008965

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ჩოხატაური
იურიდიული მისამართი	წერეთლის ქ. N3
ფაქტობრივი მისამართი	წერეთლის ქ. N3
საფოსტო ინდექსი	4900
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://choxataurissamrevlo.edu.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	skolasamrevlo@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	577625004

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	გივი კიკვაძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	577625004
ელ-ფოსტა	skolasamrevlo@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 27 ოქტომბრის MES 6 22 0001368441 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 29, 30 ნოემბერი, 01 დეკემბერი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	დავით ლიპარტელიანი
წევრი (სახელი, გვარი)	ლია გრიგოლია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	მუხლი 8/ პუნქტი დ)	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	მუხლი 8/ პუნქტი ე)	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	მუხლი 8/ პუნქტი ვ)	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას, მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნის გამოყენებას ახდენენ სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას, ხელი ეწყობა მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების მისია	ზნეობრივად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდა მართლმადიდებლური და ეროვნული ღირებულებების შესაბამისად. განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის, რელიგიური შემწყნარებლობის, შრომის სიყვარულისა და პასუხისმგებლობის გრძნობით მოსწავლეთა აღზრდა. მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების, დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება. აღზარდოს მომავალი თაობა, რომელიც მართლმადიდებლობის პრიორიტეტული როლის გათვალისწინებით, ინტეგრირებული იქნება საერთაშორისო სივრცესთან.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის 2022- 2023 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა სრულად იზიარებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, ზოგადი განათლების ყველა საფეხურისთვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას და იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას. სკოლის მისიაც, სწორედ მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას და განვითარებას ემსახურება. ა(ა)იპ ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსი მოიცავს: 1, სკოლის მისიას; 2. სკოლაში სამუშაო პირობებს და სასწავლო დღის რეჟიმს; 3. 2022-2023 სასწავლო წლის კალენდარს; 4. დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმას; 5. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს, რომელიც განსაზღვრავს შეფასების მეთოდებს, ფორმებს, ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა); 6. სასკოლო საათობრივ ბადეს და შემაჯამებელი დავალების რაოდენობას; 7. სასწავლო რესურსების, მათ შორის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხას კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით; 8. საგნობრივი კათედრების ჩამონათვალს; 9. სადამრიგებლო პროგრამას; 10. ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის; 11.ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალს და აღწერილობას; 12. სასწავლო სააღმზრდელო პროცესზე მონიტორინგისა და შეფასების დებულებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	13. SWOT ანალიზს. 2022-2023 სასწავლო წელი სკოლაში 15 სექტემბერს დაიწყო. სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 სემესტრით. I სემესტრი დაიწყო 15 სექტემბერს და მთავრდება 29 დეკემბერს; II სემესტრი - იწყება 16 იანვარს და მთავრდება 15 ივნისს. გარდა I და XII კლასებისა: I კლასი სწავლას ასრულებს 25 მაისს, ხოლო XII კლასი 19 მაისს. II-XII კლასებისთვის სასწავლო წლის ხანგრძლივობა შეადგენს 171 სასწავლო დღეს (I სემესტრი მოიცავს 74 სასწავლო დღეს; II სემესტრი - 97 სასწავლო დღეს), I კლასისთვის სასწავლო წლის ხანგრძლივობა შეადგენს 157 სასწავლო დღეს (I სემესტრი - 74 სასწავლო დღე; II სემესტრი - 83 სასწავლო დღე); XII კლასისთვის სასწავლო დღეების რაოდენობა შეადგენს 153 სასწავლო დღეს (I სემესტრი - 74 სასწავლო დღე, II სემესტრი - 79 სასწავლო დღე). 2022-2023 სასწავლო წლის არდადეგები და უქმე დღეები გათვალისწინებულია სკოლის მიერ შემუშავებული სასწავლო კალენდრის მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით პირველ კლასში გაკვეთილების ხანგრძლივობა განისაზღვრება 35 წუთით, ხოლო II-XII კლასებში 40 წუთით. II-XII კლასებში გაკვეთილებს შორის შესვენება 5წთ-იანია, მეორე და მესამე გაკვეთილს შორის შესვენება კი 10 წუთია. პირველ კლასში გაკვეთილებს შორის შესვენება 10 წუთიანია, დიდი შესვენება მეორე და მესამე გაკვეთილს შორის 15 წუთია. დისტანციური სწავლების დროს გაკვეთილების ხანგრძლივობა I-IV კლასებში 20 წუთია, V-VII კლასებში - 25წთ, VIII-XII კლასებში - 30წთ. დისტანციური სწავლების განრიგი და საათობრივი ბადე შემუშავდა შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. დისტანციური სწავლებისთვის სკოლამ აირჩია "edupage.org" პლატფორმა. წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმას თან ახლავს გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმით წარმოდგენილ რეგულაციებთან. სასკოლო-სასწავლო გეგმა განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა. სკოლას აქვს შემდეგი შეფასებების ფორმები: განმავითარებელი და გამსაზღვრელი. გამოიყენება სემესტრული ნიშანი, საერთო წლიური ნიშანი, საფეხურის ნიშანი. საერთო წლიური ნიშანი გამოითვლება საფეხურის ფარგლებში მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის მიზნებისთვის. საერთო წლიური ნიშანი მრგვალდება მეათედის სიზუსტით გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ნიშანი, რომელიც მეტია 5.0-ზე და ნაკლებია 5.1-ზე მრგვალდება 5.1-მდე. საფეხურის საერთო ნიშანი მრგვალდება მეათედის სიზუსტით. ესგ–ის მოთხოვნების შესაბამისად 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში არსებობს საგნობრივი კათედრები: • ქართული ენისა და ლიტერატურის; • უცხოური ენების; • ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების; • საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, სამ. თავდაცვა და უსაფრთხოება, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება); • დაწყებითი სწავლების; • მათემატიკისა და ისტ-ის; • საღვთო მეცნიერებების. • სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის (ხელოვნება, მუსიკა, სპორტი)
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • კათედრების დებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• კათედრების პორტფოლიოები; • სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები და ინტერესები. სავალდებულო დისციპლინებთან ერთად, მოსწავლეებისთვის შეთავაზებულია დამატებითი მომსახურება კლუბებისა და წრეების ფორმით. სკოლაში 2022-2023 სასწავლო წელს წარმატებით მუშაობს შემდეგი წრეები და კლუბები : • საღვთო სჯულის შემსწავლელი წრე; • ლიტერატურული სალონი; • ეკო კლუბი; • ნორჩი მათემატიკოსი; • ცეკვის წრე; • ფრენბურთის წრე; • მაგიდის ჩოგბურთის წრე; • გახანგრძლივებული ჯგუფი. სკოლას ჰყავს აგრეთვე მგალობელ-მომღერალთა გუნდი. კლუბებსა და წრეებს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, მოსწავლეები ხვდებიან ცნობილ ადამიანებს, ესწრებიან სპექტაკლებს თბილისში, აწყობენ წიგნებისა და სპექტაკლების განხილვას, ახორციელებენ შემდეგ პროექტებს: „შევაფაროთ ბავშვები წიგნებს“, „ვურჩიოთ წიგნები ერთმანეთს“, ზღაპრის ფესტივალი“ და ა.შ. სკოლაში არსებული კლუბები ხელს უწყობენ მოსწავლეებში ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გამოვლენას, რაც შემდგომში მოსწავლეს უვითარებს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარებს. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე თეორიულ ცოდნასთან ერთად იძენს პრაქტიკულ გამოცდილებას. სკოლაში სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმის და სტანდარტების შესაბამისად წარიმართება. სკოლაში დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში თემატურ-კალენდარულ გეგმებთან ერთად, ვხვდებით მატრიცებს, სადაც წარმოდგენილია თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები და საკვანძო შეკითხვები, კომპლექსური დავალებების ნიმუშებს. მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს მოსწავლეები აქტიურად საუბრობდნენ კომპლექსურ დავალებების შინაარსზე, შეფასების სქემებზე, განმარტავდნენ ცნების, მკვიდრი წარმოდგენის, საკვანძო კითხვების არსს და მნიშვნელობას. დამაჯერებლად საუბრობდნენ კომლექსური დავალების უპირატესობასა და შედეგებზე. მათი აზრით, კომპლექსური დავალება ხელს უწყობს საკითხის გაგების გაადვილებას და მიღებული ცოდნის სხვა გარემოში გამოყენებას. ერთ-ერთმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ კომპლექსური დავალება გააკეთა არაბებისა და საქართველოს ურთიერთობებზე, კომპლექსური დავალებების შესრულებისას დაინტერესდა არაბების ისტორიით და არაბული ენის შესწავლაც კი დაიწყო. საინტერესოა, რომ მოსწავლეები ამჟღავნებენ თავისუფალ დამოკიდებულებასა და პატივისცემას, როგორც მართლმადიდებლური, ასევე სხვა სარწმუნოების მიმართ. მათ მიერ გაკეთებული დასკვნები საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სკოლაში მოსწავლეებს აქვთ ფიქრის თავისუფლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • თემატურ-კალენდარული გეგმები, კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები; • ინტერვიუ სკოლის პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• წრეებისა და კლუბების დებულებები; • სკოლის ვებ-გვერდი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეებს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. როგორც უკვე აღინიშნა, ამისთვის სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს წრეებსა და კლუბებში მუშაობას. ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სასკოლო-სასწავლო გეგმით. კერძოდ, დოკუმენტი აღწერს იმ მექანიზმებს, რომელიც სკოლამ უნდა განახორციელოს სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირებისათვის. სასკოლო-სასწავლო გეგმა ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს - შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს. სასკოლო-სასწავლო გეგმის დანართად წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. ამ ეტაპზე სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • ინტერვიუ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლის შეფასების მიზანს წარმოადგენს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და კონტროლი. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება არის ხშირი და მრავალმხრივი, რაც ხელს უწყობს: მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, სხვადასხვა პოტენციალის მქონე მოსწავლეთათვის თანაბარი პირობების შექმნას. მოსწავლე შეფასდება სხვადასხვა ფორმებით (ესსე, პროექტის მომზადება, კომპლექსური დავალებები, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობადა სხვ.). მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებისთვის იწყებენ სოლო ტაქსონომიის გამოყენებას. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეული საგნისათვის განსაზღვრულია სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება. სასკოლო-სასწავლო გეგმის დანართად წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები კათედრების მიხედვით. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების მათ შორის კომპლექსური დავალების შეფასებისა და ანალიზის ფორმები, რომელსაც თითოეული კათედრა ადგენს საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. წლის განმავლობაში ჩატარებული შემაჯამებელი წერების ანალიზი ხდება პედაგოგის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო-სასწავლო გეგმა; • შეფასების სქემები და რუბრიკები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საგნობრივი კათედრის პორტფოლიოები ; • შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა; • ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლაში შემუშავებულია მშობელთა ურთიერთობის წესი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრას მშობლის ჩართულობას შვილის საგანმანათლებლო პროცესში. დოკუმენტში ნათქვამია, რომ სასწავლო პროცესში მშობელთა მონაწილეობა ამდიდრებს სკოლის კულტურას და ხელს უწყობს მის განვითარებას. მშობელს, როგორც მოსწავლეს უფლება აქვს თანაბარ პირობებში დისკრიმინაციის გარეშე სასკოლო დროსა და სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობები სწავლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ფორმდება ხელშეკრულებით. სკოლას აქვს ვალდებულება მშობელს შვილის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს დროულად. მშობელთა ინფორმირება ხდება მშობელთა კრებებზე, დამრიგებლის მიერ მშობლებთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით; ინდივიდუალურ შეხვედრებზე. ელექტრონული პროგრამის „edupage” საშუალებითაც. მშობლები ინტერვიუს დროს ადასტურებენ, რომ სკოლა ღიაა მათთვის და მათთან ურთიერთობა ხორციელდება, როგორც ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებზე, მშობლები კარგად იცნობენ მოსწავლეთა შეფასების სისტემას. მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო აქტივობებშიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • სკოლის ვებ-გვერდი; • ელექტრონული ჟურნალი “edupage”; • ინტერვიუ მშობლებთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სამრევლო სკოლაში შემუშავებულია დოკუმენტი, სახელწოდებით „სკოლის სასწავლო გეგმის ხარისხის მართვის მექანიზმები“, რომლის საფუძველზე მუდმივად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასკოლო-სასწავლო გეგმის და სწავლების ხარისხის შეფასება. სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით ტარდება მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა გამოკითხვა, გაკვეთილების შეფასება-ანალიზი. სკოლაში ტარდება კვლევა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა სასწავლო საჭიროების დასადგენად. ასევე იკვლევენ სასწავლო გარემოს. საბოლოო ჯამში იქმნება SWOT ანალიზი, რომელიც ადგენს განვითარდა თუ არა სკოლა, რა პრობლემები გადაიჭრა, განვითარების რა პერსპექტივები და საფრთხეები არსებობს და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ხარისხის მართვის მექანიზმები; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა ფუნქციონირებს ქალაქ ჩოხატაურში, წერეთლის N3-ში მდებარე 1270კვ.მ ფართზე განთავსებულ სამსართულიან შენობაში. დაწესებულების საერთო ფართია 2227,40კვ.მ. აღნიშნული უძრავი ქონება 2008 წელს უზურფრუქტით გადაეცა სსიპ სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომელმაც, თავის მხრივ 25 წლის ვადით (05/08/2041-მდე) უძრავი ქონება, თხოვებით გადასცა ა(ა)იპ „ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლას“. შენობის პირველ სართულზე მოქმედებს წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის ეკლესია. ამავე სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი, სასადილო, კომპიუტერული კლასი, რესურს ოთახი, შეხვედრების ოთახი (საპრეზენტაციო ოთახი), საწყობი, ადაპტირებული სველი წერტილი, მოსასვენებელი ოთახი სკოლის თანამშრომლებისათვის. მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, ქართული ენის კაბინეტი, ექიმის ოთახი, ეკო კლუბის ოთახი, ინგლისური ენის კაბინეტი, საღვთო სჯულის ოთახი, გახანგრძლივებული ჯგუფის ოთახი, წრეების ოთახი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განაყოფების ოთახი, გოგონების და ბიჭების საპირფარეშოები და 5 საკლასო ოთახი. მესამე სართულზე განთავსებულია ადმინისტრაციის ოთახი, სააქტო დარბაზი, მუსიკის წრის ოთახი, საწყობი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და 8 საკლასო ოთახი.
ფაქტობრივი მისამართი	დაბა ჩოხატაური, წერეთლის ქ. N3
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	N28.01.21.08
კვ.მ.	მიწის ნაკვეთის ფართობი - 2071კვ.მ შენობა ნაგებობები - N1 საერთო ფართი 2227,40კვ.მ; გაშენების ფართი 1270კვ.მ სართულების რაოდენობა - 3
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• საჯარო რეესტრის ამონაწერი; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის თორმეტი საკლასო ოთახი, ასევე გამოყოფილია სივრცეები სხვადასხვა კლუბებისა და წრეებისათვის. სკოლაში ფუნქციონირებს ქართული ენის და ინგლისური ენის კაბინეტები. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, საპრეზენტაციო ოთახი, განაყოფების ოთახი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით (საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 300 ინდივიდუალური მერხი, ასევე 3 ადგილიანი და 4 ადგილიანი მერხები ლაბორატორიაში, საპრეზენტაციო ოთახში, ეკო კლუბის ოთახში და ა.შ). ყველა კლასში მასწავლებლისათვის განკუთვნილია მაგიდა და სკამი. ასევე კლასები აღჭურვილია საწერი დაფებით. ყველა კლასს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. საპრეზენტაციო ოთახში განთავსებულია პროექტორი და სპეციალური ეკრანი. სივრცე კომფორტულია და მოწყობილია ისე, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეებისთვის შექმნილია სასიამოვნო გარემო. აქვე განთავსებულია სპეციალური მაგიდა ეტლით მოსარგებლე პირებისათვის. ქართული ენის კაბინეტში მრავლად არის თვალსაჩინოებები, მოსწავლეთა ნამუშევრები, ტელევიზორი, „პუფები“, მაგიდები და სკამები. სკოლას ასევე გააჩნია, სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი თვალსაჩინოებები, რუკები, პოსტერები, პროექტორი, მუსიკალური ცენტრი, პიანინო, მიკროფონი, სპორტული ინვენტარი და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სპორტული დარბაზი და მოედანი. სპორტული მოედანი იძლევა შესაძლებლობას ჩატარდეს სხვადასხვა სპორტული აქტივობები, თუმცა სპორტული დარბაზის ჭერის სიმაღლე არ იძლევა ისეთი სპორტული სახელობების თამაშობების გამართვას როგორიცაა კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი და ა.შ. თუმცა სავსებით შესაძლებელია მხიარული სტარტების და სხვა ფიზიკური ვარჯიშების განხორციელება. სკოლას აქვს სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, ბურთები, ლახტი, „კეგლი“ ჭადრაკის დაფები და ა.შ. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასთან, რომლის მიხედვით სამრევლო სკოლას ეძლევა ნებართვა დროებით, სასწავლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე, ისარგებლოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული, დაბა ჩოხატაურში აპრილის ქუჩაზე მდებარე ღია მოედნით და სპორტული დარბაზით. აღნიშნული შესაძლებლობას აძლევს სკოლას ჩაატაროს სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები და სპორტული აქტივობები, მათ შორის სპორტის გაკვეთილები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შპს „ინსტა-ჯორჯიასგან“ 2011 წელს შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის კომპლექტი, რომელიც შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ N572 ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალთან. 2022 წლის 02 ნოემბერს დაწესებულებას შეძენილი აქვს ქიმიური რეაქტივები სასკოლო ლაბორატორიისათვის. აღნიშნული ლაბორატორიული კომპლექტი განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის განკუთვნილ ოთახში. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ნიჟარა ონკანით და გამწოვი, ასევე არის განიავების საშუალება - ფანჯარა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შესყიდვის დოკუმენტაცია • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების საკლასო ოთახები ნათელია და აქვთ ბუნებრივი განათება. სკოლის შენობის გათბობა ხდება ცენტრალური გათბობის სისტემის საშუალებით. სართულებზე მოწყობილია სველი წერტილები: ვაჟებისთვის, გოგონებისთვის და სკოლის თანამშრომლებისთვის. ერთ-ერთ სველ წერტილში არის საყრდენი მოაჯირი ეტლით მოსარგებლე პირთათვის და ფართო შესასვლელი კარი, რაც იძლევა ეტლით თავისუფლად გადაადგილების და მობრუნების შესაძლებლობას. დაწესებულებას მუდმივად მიეწოდება წყალი, ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები • ვიზუალური დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ბუნებრივი აირის, წყლის და ელ. ენერგიის მიმწოდებელ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი კეთილმოწყობილი სივრცე. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნები დალაგებულია როგორც ანბანურად, ასევე თემატურად. სკოლას ასევე გააჩნია პროგრამა http://bibliocat.ge/, რომელიც გამოიყენება წიგნების რეგისტრაციისათვის, ასევე იგი შესაძლებლობას იძლევა დარეგისტრირდეს მკითხველი და ამავე პროგრამის საშუალებით დაჯავშნოს წიგნი. ამავე პროგრამაში შესაძლებელია წიგნების გატანის და დაბრუნების რეესტრის წარმოება. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა რამდენიმე წიგნი და სასკოლო სახელმძღვანელოები. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ წიგნები დამუშავებულია შესაბამისი წესით. დაწესებულებაში იყო სასწავლო პროცესისათვის საჭირო ყველა სახელმძღვანელო. ასევე სკოლას გამოწერილი აქვს გაზეთი „ახალი განათლება“. ვიზიტის დროს ნათლად გამოჩნდა, რომ მოსწავლეები აქტიურად სტუმრობენ ბიბლიოთეკას და ის წარმოადგენს მათთვის საინტერესო ადგილს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • საინვენტარო წიგნი; • http://bibliocat.ge ვებ-გვერდი; • ბიბლიოთეკართან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. ასევე არ ჰყავდა ეტლით მოსარგებლე არც მოსწავლე და არც თანამშრომელი. შესაბამისად, სკოლის შენობაში დამონტაჟებული პანდუსები იყო აკეცილ მდგომარეობაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას აქვს საპირფარეშო მოწყობილი ეტლით მოსარგებლე პირებისათვის, სადაც დამონტაჟებულია საყრდენი მოაჯირი. სკოლას ასევე აქვს გამოყოფილი სივრცე რესურს ოთახისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დათვალიერებისას აღმოჩნდა რომ დაწესებულებას აქვს პერსონალური 20 კომპიუტერი და 5 ნოუთბუქის მის მფლობელობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კომპიუტერების აღნიშნული რაოდენობა აკმაყოფილებს გიმნაზიისათვის განსაზღვრული მოსწავლეთა კონტიგენტისათვის საჭირო რაოდენობას. დაწესებულებას უწყვეტად მიეწოდება ინტერნეტი. ინტერნეტის შესყიდვის ხელშეკრულება დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა შპს „სქაიტელთან“. დაწესებულების ვებ-გვერდია - https://choxataurissamrevlo.edu.ge. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სკოლის ვებ-გვერდს შეექმნა გარკვეული პრობლემა რამაც გამოიწვია მისი შეფერხებულად მუშაობა. სკოლა მუშაობს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრაზე. ვებ-გვერდის დათვალიერებისას გაირკვა, რომ ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება მართლაც ხდებოდა (ბოლო სიახლე განთავსებული იყოს 2022 წლის 26 ოქტომბერს). თუმცა ვიზიტის დროს სრული ინფორმაციის დათვალიერება ვერ მოხერხდა. მაგრამ ვებ გვერდზე გამოყოფილი იყო შემდეგი მასალებისათვის განკუთვნილი გვერდები: – სკოლის მისია; – სიახლეები; – შინაგანაწესი; – ღონისძიებები; – მასწავლებლები; – ფოტო გალერეა; – ვიდეო გალერეა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	– კონტაქტები; – ინფორმაციის საძიებო ველი. სკოლას ასევე აქვს ელექტრონული ჟურნალი, რომელიც განთავსებულია EduPage.org-ზე. აღნიშნული ჟურნალი გამოიყენება როგორც მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების აღრიცხვისათვის, ასევე მათი დასწრების აღრიცხვისა და მშობლებთან ურთიერთობისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით; • ვებ-გვერდის დომეინის და ჰოსტინგის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით. • კომპიუტერების და ნოუთბუქების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. • ინტერნეტის მომსახურების გადახდის ქვითრებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს, შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი. სკოლის ტერიტორია აღჭურვილია ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით, კერძოდ, ფხვნილოვანი ცეცხლმაქრებით და სპეციალური უსაფრთხოების სისტემით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შესასვლელში და დერეფანში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის სამსახურის ტელეფონის ნომერი - 112.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელსაც შეუძლია პირველადი დახმარება გაუწიოს სკოლაში მყოფ ადამიანებს. თუმცა სკოლის კონტიგენტიდან გამომდინარე უნდა ჰყავდეს ექიმი. დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადებით არაერთხელ გამოცხადდა ვაკანსია, თუმცა განაცხადი არცერთხელ არ შემოსულა. ბოლო ვაკანსია დაწესებულებამ გამოაცხადა 2022 წლის 01 დეკემბერს. სკოლას აქვს პირველადი დახმარების აუცილებელი მედიკამენტები და ინვენტარი. სკოლა უზრუნველყოფილია ერთი სამედიცინო კაბინეტით რომელიც განთავსებულია მე-2 სართულზე. ექიმის კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • სამედიცინო კაბინეტის ინვენტარის ფლობის დოკუმენტაცია • ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება • დაწესებულების მიერ 01 დეკემბერს გამოცხადებული ვაკანსია ექიმის ვაკანტურ პოზიციაზე.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ა(ა)იპ ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტი 2022 წლის 16 აგვისტოს დაწესებულებამ გაგზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად. სამინისტროს 2022წლის 11 ნოემბრის წერილიდან ირკვევა, რომ დაწესებულებას მიეცა გარკვეული რეკომენდაციები დოკუმენტის სრულყოფისათვის. სკოლამ გაითვალისწინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რჩევები და კორექტირებული დოკუმენტი კვლავ შესათანხმებლად 2022 წლის 24 ნოემბერს გაგზავნა სამინისტროში. ვიზიტის დროისთვის სკოლას არ ჰქონდა შეთანხმების პროცესი დასრულებული, თუმცა ზემოთ აღწერილი პროცედურიდან ჩანს, რომ სკოლა ზრუნავს წესრიგის დაცვასა და სკოლის უსაფრთხოებაზე, რისთვისაც კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს შესაბამის უწყებებთან. სკოლას ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „დაცვის სამსახური მგლები+“-თან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • შემოსული და გასული კორესპონდენციები • შპს „დაცვის სამსახური მგლები+“-თან გაფორმებული ხელშეკრულება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები როგორც შიდა პერიმეტრზე, ისე გარე პერიმეტრზე, რომლებიც ყოველთვის უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. ვიზიტის დროს არ იყო უზრუნველყოფილი 2 კიბის უჯრედის კონტროლი. დაწესებულებამ ვიზიტის მსვლელობისას დაამონტაჟა 3 ვიდეო-კამერა, რამაც შესაძლებელი გახადა ვიდეომეთვალყურეობის სისტემით ზემოაღნიშნული კიბის უჯრედების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაკონტროლების შესაძლებლობა. ვიდეოკამერების პარამეტრები და ადგილმდებარეობა შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ვიდეო-კამერების შესყიდვის დოკუმენტაცია; • ვიდეო მეთვალყურეობის სისტემის მონტაჟის მომსახურების შესყიდვის დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიზაციის წესდება. ასევე შემუშავებული აქვს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სკოლის სტრუქტურა და მართვის მექანიზმები, სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის, ტექნიკური პერსონალის ფუნქციები, სკოლის სტრუქტურული ერთეულების - პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, კლასის დამრიგებლის ფუნქციები. აღნიშნული დებულებები და წესები დამტკიცებულია ერთი ბრძანებით ცალ-ცალკე დოკუმენტებად. დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ შემუშავდეს სკოლის დებულება, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა სტრუქტურული ერთეული დებულება და თავად სტრუქტურის აღწერილობაც. სკოლას აგრეთვე შემუშავებული აქვს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსისა” და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი. შინაგანაწესის მიზანია სკოლის საქმიანობისათვის ხელშეწყობა, სკოლის მისიის შესრულება, სკოლაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა და ჩამოყალიბება. სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი და მისი თანამდევი ურთიერთობის მოწესრიგება და კონტროლი, სკოლაში დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა, სასწავლო-სამუშაო დროის რეგულირება, სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის მოსწავლეთა ქცევის წესების მოწესრიგება და კონტროლი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის წესდება; • შინაგანაწესი; • სტრუქტურული ერთეულების დებულებები და ფუნქციები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი - 2022-2028 წლების) და ერთწლიანი (2022-2023) სამოქმედო გეგმები. სკოლის 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმა ასახავს სკოლის გრძელვადიან ხედვას, სკოლის მიზნებსა და ძირითად ამოცანებს. სტრატეგიული გეგმა, წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც დეკლარირებული მიზნების მისაღწევად ხელს უწყობს სკოლის სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ მუშაობას. აზუსტებს სტრატეგიულ მიმართულებებს, მიზნებს, ამოცანებსა და განსახორციელებელ აქტივობებს. სკოლაში შემუშავებულია 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც სკოლის განვითარების ექვსწლიანი სამოქმედო გეგმის მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. იგი მოიცავს სკოლის ფუნქციონირებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შემუშავებასა და სკოლის ორგანიზაციულ განვითარებას, სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვას, მშობელთა მუდმივ ჩართულობას სასწავლო-პროცესში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2028 წლების ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა • 2022-2023 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის მიხედვითაც აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვას. ასევე საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალს, თანამშრომელთა პირად საქმეებს და ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალს. დოკუმენტაციის აღრიცხვა ხდება ელექტრონულად. წესის მიხედვით სკოლას არ ჰქონდა გამიჯნული შემოსული და გასული კორესპონდენციები, ასევე გამოსცემდნენ მხოლოდ ერთი ტიპის ბრძანებებს (საერთო ბრძანებები). დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ გამიჯნოს სხვადასხვა ტიპის კორესპონდენციები და ბრძანებები, რაც გაამარტივებს საქმისწარმოებას. სკოლაში ინახება ყველა დოკუმენტის დედანი ან ასლი. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების ერთიანი წესი; • ვიზუალურ დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	2.7 შემუშავდეს სკოლის დებულება, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულება და თავად სტრუქტურის აღწერილობა. 2.9 გამიჯნოს სხვადასხვა ტიპის კორესპონდენციები და ბრძანებები, რომლებისთვისაც შეიქმნება ცალ-ცალკე აღრიცხვის ჟურნალები.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას განსაზღვრული ჰყავს შემდეგი საშტატო ერთეულები: რექტორი, პრორექტორი ადმინისტრაციულ-ფინანსურ დარგში, პრორექტორი აღმზრდელობით დარგში, რექტორის კონსულტანტი, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, აღმზრდელობითი მუშაობის კოორდინატორი, ბუღალტერი, საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, IT სპეციალისტი, ექთანი, დამლაგებელი, ცეცხლფარეში, საღვთო სჯულის წრის ხელმძღვანელი, ეკო კლუბის წრის ხელმძღვანელი, „ნორჩი მათემატიკოსის“ წრის ხელმძღვანელი, ფრენბურთის წრის ხელმძღვანელი, გალობის წრის ხელმღვანელი, ლიტერატურული სალონის წრის ხელმღვანელი, გახანგრძლივებული ჯგუფის პედაგოგი და მასწავლებელი. საგაკვეთილო პროცესის წარმართვისათვის სკოლას ჰყავს 23 პედაგოგი. სკოლაში ისწავლება 2 დამატებითი სავალდებულო საგანი: საღვთო სჯული და სახარების განმარტება აღნიშნულ 2 საგანს ასწავლიან დამატებითი საგანმანათლებლო საგნის 4 მასწავლებელი, რომლებსაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება. დაწესებულებაში ასევე ასწავლის 4 უსტატუსო მასწავლებელი, რომლებთან 2022 წლის 01 დეკემბერს გაფორმდა ახალი ხელშეკრულებები. გაფორმებულ ხელშეკრულებებში არის დათქმა, რომ აღნიშნულმა მასწავლებლებმა 2 წლის ვადაში უნდა ჩააბარონ საგნის გამოცდა და გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	23
მოწვეული/მაძიებელი	0
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
უფროსი მასწავლებლი	12
წამყვანი მასწავლებლი	3
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის დროს, მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლის თანამშრობლებს არ ჰქონდათ წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები. ვიზიტის მიმდინარეობისას, დაწესებულების თანამშრომლებმა მიმართეს მომსახურეების სააგენტოს და ვიზიტის დასრულებამდე, სკოლამ წარმოადგინა ზემოაღნიშNული ცნობები. სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები შერჩეულნი არიან კანონმდებლობის შესაბამისად, დასაქმებულნი არიან კვალიფიკაციის შესაბამისად და მათთან გაფორმებულია სტატუსის და საგნის შესაბამისი ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა პირადი საქმეები • მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შინაგანაწესში გაწერილი აქვს თანამშრომელთა სამუშაოზე მიღების წესი, სადაც გაწერილია თანამშრომლის სამუშაოზე მიღების პროცედურები და დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს. ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია თანამშრომელთა მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის წახალისების ფორმები და პასუხისმგებლობის ზომა და სახე დისციპლინის დარღვევისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აქვეა ასახული თანამშრომელთა შრომითი ძირითადი პირობები (შვებულების მიცემის წესი, სამსახურიდან გათავისუფლების წესი, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი და ა.შ.)
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს შრომითი კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. ხელშეკრულებები გადანომრილია, მითითებულია ხელშეკრულების გაფორმების დრო და მოქმედების ვადა. ასევე ხელშეკრულებებში გაწერილია თანამშრომელთა ვალდებულებები და უფლებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შრომითი ხელშეკრულებები თანამშრომლებთან;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები ჩართულნი არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. დაწესებულების თანამშრომლები თანამშრომლობენ მასწავლებელთა პროფესიულ კავშირებთან, სკოლა სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს ტრენინგების შესახებ. ჩართულნი არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. სკოლის გრძელვადიან და ერთწლიან გეგმებში გაწერილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობები და მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პედაგოგებთან გასაუბრება • 2022-2028 წლების ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• 2022-2023 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის დროს სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა სასიამოვნო ატმოსფერო. შენობის დერეფნები და საკლასო ოთახები გაფორმებულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნამუშევრებით. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოზიტიურ ურთიერთობებს, სადაც მოსწავლე არის დაფასებული და მასწავლებელთან ერთად პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. აღნიშნული კარგად წარმოჩინდა მოსწავლეებთან ინტერვიუს დროს. მათი არგუმენტირებული საუბარი, მოვლენების და ფაქტების კრიტიკული შეფასება, მსჯელობა და აზრის თავისუფლად გამოხატვა კარგად ჩანდა, რაც სკოლაში პოზიტიური გარემოს არსებობის ერთ-ერთი ინდიკატორია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო დოკუმენტაციით • მასწავლებლებთან გასაუბრებით • მოსწავლეებთან გასაუბრებით • სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

XI. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი **28.12.2022**

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 36 (ოცდათექვსმეტი) გვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.